47. ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ. ქართული დიპლომატია, წელიწადეული 15, 2013, თბილისი, გვ. 203-241.
48. ილია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“. N2, 2013, გვ. 220-232. .
49. ოსური ავტონომია ქართულ მიწაზე, სად გადის მავთულხლართები. „ლიტერატურული საქართველო“, 7 თებერვალი, 2014.
50. ილია დღეს. პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები. წიგნი მესამე, თბილისი, 2014, გვ. 635.
51. ილია ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, N2, 2014, გვ. 46-59.
52. Осетины в Грузии. Сборник, автор проекта, Тбилиси, 2015, стр. 397.

53. ილია დდეს, პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები. წიგნი მეხუთე, თბილისი, 2016, გვ. 658.
54. ილიას ევროპული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, №1, 2016, გვ. 41-53.
55. იგივე, გაგრძელება, „მაცნე“, №2, 2016. გვ. 70-85
56. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი. პიროვნება და ღვაწლი, თბილისი, 2017 წ, გვ. 529.
57. ილია - ლიბერალური აზროვნების ფუძემდებელი საქართველოში (თავისუფლება და კერძო საკუთრება). „ახალი ეკონომისტი“, N48, 2017, გვ. 12-22.
58. ილია ჭავჭავაძის კონსერვატიულ-ლიბერალური შეხედულებანი ეროვნული იდეოლოგიის კონტექსტში თანამედროვე პერსპექტივიდან. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIII. გვ. 339-351, თბილისი, 2018 (პროფ. ქ. ნადირაძესთან თანაავტორობით).

**რედაქტორობით და თანამონაწილეობით გამოსული სახელმძღვანელოები,
მონოგრაფიები**

1. პოლიტოლოგია, ლექციების კურსი, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2001
(რედაქტორი და თანაავტორი).
2. პოლიტოლოგია, ლექციების კურსი, II შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2003 (რედაქტორი და თანაავტორი).
3. პოლიტოლოგია, სასელმძღვანელო, თბილისი, თსუ გამომცემლობა 2004
(რედაქტორი და თანაავტორი).
4. ვ. ჭანუყვაძე „პოლიტოლოგიური დიალოგი (ანუ წიაღსვლა პოლიტიკის სამყაროში)“, თბილისი 1998, რედაქტორი.
5. პოლიტიკა, კვინტენსენცია, თბილისი, 1999, რედაქტორი.
6. გ. მკურნალიძე, გ. ქამბაძე. პოლიტოლოგია (X-XI კლასების სახელმძღვანელო), თბილისი, 1999, რედაქტორი.

7. პოლიტიკურ ცნებათა მოკლე ლექსიკონი, თბილისი, 1999, რედაქტორი.
8. ჯ. კობხეიძე „ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები და ორგანიზაცია“. თბილისი, 1999, რედაქტორი.
9. კრებული „პოლიტიკა“, თბილისი, 1999, რედაქტორი.
10. ზ. აბაშიძე „ნატო და საქართველო, უტოპიიდან რეალობისკენ“, თბილისი, 2000, რეცენზენტი.
11. გ. აბესაძე „სემინარული მეცადინეობების თემატიკა პოლიტოლოგიაში“, ქ. თბილისი, 2000, რედაქტორი.
12. პოლიტიკური მეცნიერების სწავლების პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, 2001, კონსულტანტი.
13. სადისკუსიო კლუბი „ქართული სახელმწიფო“, შრომების კრებული, თბილისი, 2003, თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.
14. ე. ქარუმიძე „საერთაშორისო ორგანიზაციები“, თბილისი, 2004, პროგრამა - რედაქტორი.
15. ლ. პაჭკორია, ლ. ბლიაძე, კონტენტ-ანალიზი, თბილისი, 2004, რედაქტორი და შესავალი სტატია.
16. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. პოლიტიკური მეცნიერებების ტერმინების სამეცნიერო რედაქტორი, თბილისი, 2004.
17. ე. ქარუმიძე, „საერთაშორისო ორგანიზაციები“, მონოგრაფია, თბილისი, 2001, რედაქტორი.
18. ა. წურწუშია, „ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური შეხედულებები“, თბილისი, 2005, რედაქტორი.
19. ა. ტუკვაძე, რ. ტუკვაძე „პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2007, რედაქტორი.
20. И.С. Богомолов - 70 Монография. Тбилиси, издательство «Офис пресс», 2002 (Составление, редактирование, вступительная статья, послесловие в соавторстве с проф. Н.Поракишвили).

21. P. Мустафаев «Страсти по виртуале». Тбилиси, Баку, Иерусалим, Токио, 2007 (редактор).
22. ნ. ლომოური, საქართველო, წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე, თბილისი, 2011, რედაქტორი.
23. იდეოლოგიები ილიას პოლიტიკურ ნაწარვეში. კრებული „პოეტური სულის მეცნიერი“, გიორგი ნადირაძე - 80. თბილისი (ავტორი და რედაქტორების წევრი).

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის,
პროფესორ ომარ გოგიაშვილის
სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ

სპეციალისტის დასკვნა

პროფ. ომარ გოგიაშვილმა 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, სწავლის პერიოდში იღებდა ჯერ აკად. სიმონ ჯანაშიას, შემდეგ ვ.ი. ლენინის სახელობის სტიპენდიებს. 1968 წელს ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა დაამთავრა. აქედან მოყოლებული მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. 1978 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1987 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1989 წლიდან არის პროფესორი.

საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების დამკვიდრების პერიოდიდან, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პროფ. ო. გოგიაშვილი გახდა ამ მეცნიერების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის აქტიური მებრძოლი. თბილისის სახ. უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრის ჩამოყალიბების დღიდან არის კათედრის პროფესორი, ხოლო 1998 წლიდან 2006 წლამდე ამ კათედრის გამგე. პარალელურად ის თავმჯდომარეობდა მისივე ინიციატივით შექმნილ პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრს. პოლიტიკურ მეცნიერებებში სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს (23.00.08 პოლიტიკური ინსტიტუტები და პროცესები) ჩამოყალიბების დღიდან იყო მისი წევრი, თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე.

თბილისის სახ. უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების სწავლების დანერგვა და კვლევის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რაც ასევე სასწავლო პროცესთან იყო დაკავშირებული, პროფ. ო. გოგიაშვილის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური

მეცნიერებები და დისციპლინები მტრულ იდეოლოგიად იყო მიჩნეული და შესაბამისად არავითარი გამოცდილება არ არსებობდა. რომელიმე განვითარებული ქვეყნიდან სწავლების მოდელის გადმოღება გაუმართლებელია, რადგან სრული კოპირება ნებისმიერ სფეროში არ არის წარმატების გარანტია და ასეთ შემთხვევაში მწვავედ დგებოდა კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების შესაბამისობის პრობლემა.

სასწავლო გეგმები და შესაბამისი დისციპლინების პროგრამები დგებოდა ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და თანდათანობით იხვეწებოდა. ამავე პერიოდში უნივერსიტეტში ხორციელდებოდა სასწავლო პროცესის რეფორმა და ერთსაფეხურიანი სწავლებიდან სამსაფეხურიან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლებაზე გადასვლა, რაც ასევე დამატებით პრობლემებს ქმნიდა. საჭირო იყო სამივე საფეხურის სასწავლო პროცესის ორგანიზება სათანადო მეთოდურ-თეორიული დოკუმენტაციით, შესაბამისი კადრებით, ლიტერატურით (შესაძლებლობის ფარგლებში). ამ შრომატევადი სამუშაოს შესრულებაში სხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების იმედი ნაკლებად უნდა გვქონოდა, კერძო უმაღლესი სასწავლებლები კი ამ პრობლემატიკით არ ინტერესდებოდნენ. ისინი ძირითადად ჩვენი მუშაობის შედეგების გადაღებით იყვნენ დაინტერესებული.

იმ პერიოდში, როცა პროფ. ო. გოგიაშვილი პოლიტოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა დამუშავდა და დაიხვეწა სასწავლო გეგმები. შედგა სილაბუსები ძირითად დისციპლინებში, სემინარული მუშაობის გეგმები და სხვა მეთოდურ-თეორიულ მასალა, რაც აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. ამის პარალელურად პროფ. ო. გოგიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემების დამუშავებაში. საკვლევ თემატიკას წარმოადგენდა ტრანსფორმირებადი საზოგადოების აქტუალური საკითხები: დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების თავისებურებანი; ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული მემკვიდრეობა; ქართული პოლიტიკური აზრი და თანამედროვეობა; პოლიტიკური იდეოლოგიები და სხვ.

აღნიშნულ პრობლემატიკაზე პროფ. ო. გოგიაშვილი მონაწილეობდა სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონკურენციებში, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს, მათ შორის არის მონოგრაფია „პოლიტიკური იდეოლოგიები“ (თბილისი, 2003, გვ. 260), ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

პროფ. ო. გოგიაშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტების, მაგისტრანტების უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმძღვანელოებით, რაც იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური მეცნიერებები, როგორც სასწავლო დისციპლინა ასლად შემოღებული იყო, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენდა. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად კათედრამ პროფ. ო. გოგიაშვილის ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით 2001 წელს გამოსცა „პოლიტოლოგია“, ლექციების კურსი; 2003 წელს გამოვიდა მისი II, შევსებული ვარიანტი; ხოლო 2004 წელს, სალექციო კურსების აპრობაციის საფუძველზე, სახელმძღვანელო - „პოლიტოლოგია“ (თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2004). სამივე გამოცემის რედაქტორი და ავტორი ორი თავისა „პოლიტიკური იდეოლოგიები“ და „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის პოლიტიკური ასპექტები“ პროფ. ო. გოგიაშვილია. აღსანიშნავია, რომ პირველად ამ კრებულებში გამოჩნდა პროფ. ო. გოგიაშვილის ხანგრძლივი კვლევის შედეგები ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომ დიდი მონოგრაფიული კვლევებით წარმოჩინდა.

ცალკე და გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს პროფ. ო. გოგიაშვილის ღვაწლი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაში პოლიტიკურ მეცნიერებებში. როგორც იმ კათედრის გამგეს, რომელსაც ერთადერთს ქვეყანაში ევალებოდა დისერტაციების წინასწარი აპრობაცია და სპეციალიზირებული სადისერტაციო საბჭოს (23.00.09 - პოლიტიკური ინსტიტუტები და პროცესები) თავმჯდომარეს, მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მეცნიერების ამ სფეროს განვითარებაში. ის მზად იყო გაცნობოდა ნებისმიერ ნაშრომს, იმის მიუხედავად დისერტაციის უშუალო ხელმძღვანელი იყო თუ არა,- მიეცა მნიშვნელოვანი შენიშვნები და რეკომენდაციები. მისი დამოკიდებულება დისერტანტებთან იყო ყოველთვის

კეთილგანწყობილი, საქმიანი, მაგრამ ამავე დროს პრინციპული და ობიექტური. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მისი თავმჯდომარეობის დროს საქართველოში ყველაზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის დაცვა განხორციელდა. მათი რაოდენობა ერთ ათეულს მნიშვნელოვნად აღემატება. საბჭოზე გამოტანილი დისერტაციებიდან ყველა მაძიებელმა მიიღო შესაბამისი ხარისხი, თუმცა ზოგიერთ მათგანს წინასწარი აპრობაციის ეტაპზე ეთქვა უარი.

პროფ. ო. გოგიაშვილი დღესაც შემართებით აგრძელებს სამეცნიერო პედაგოგიური კადრების აღზრდას ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც დოქტორანტების მეცნიერ-ხელმძღვანელი და სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის წევრი.

პროფ. ო. გოგიაშვილი დიდ სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობასთან ერთად არის კომპეტენტური და საინტერესო ლექტორი. მას შეუძლია მრავალი წლის განმავლობაში მიღებული მრავალგვარი ცოდნა გადმოსცეს ლოგიკურად, კონსპექტში „თავის ჩარგვის“ გარეშე. უახლესი ლიტერატურის დამოწმებით და პოლიტიკური პროცესების ორიგინალური, საკუთარი ინტერპრეტაციით, ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობითა და საკუთარი ანალიზებით. მისი ლექციების თემატიკაც („ქართული პოლიტიკური აზრი - ისტორია და თანამედროვეობა“; „პოლიტიკური იდეოლოგიები და პოლიტიკური სისტემები“, „საქართველოს ევროინტეგრაციის პრობლემები“ და სხვა) უაღრესად აქტუალურია და ამის გამო პროფ. ო. გოგიაშვილის აუდიტორია არასდროს განიცდიდა სტუდენტების ნაკლებობას.

სტუდენტებისათვის სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის გარდა პროფ. ო. გოგიაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთი უმთავრესი პრობლემატიკაა რუსულ-ქართული პოლიტიკურ-კულტუროლოგიური ურთიერთობები, რომლებიც უაღრესად აქტუალური გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, კონკრეტულად 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებიდან. პროფ. ო. გოგიაშვილმა თავის კოლეგა დოც. ნ. ფორაქიშვილთან ერთად ამ პერიოდიდან მოყოლებული შეაგროვა უდიდესი რაოდენობის საჭირო

მასალა პერიოდული პრესის, წიგნებისა და მონოგრაფიების, სამეცნიერო კონფერენციების კრებულების სახით და შექმნეს უმდიდრესი არქივი, რომლის გამოცემა და სისტემატიზაცია უაღრესად აქტუალურად გვეჩვენება. აქ შეხვდებით რუსი (და არარუსი, განსაკუთრებით სომეხი, ბოლო წლებში კი აფხაზი და ოსი ეროვნების) პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, კულტუროლოგების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების, სამხედროების, ჟურნალისტების ქართველო-ფობიურ ნაშრომებს, რომლებშიც დამახინჯებულად, ცილისმწამებლურად განხილულია საქართველოს ისტორიისა და დღევანდელი მისი კულტურული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების, ტრადიციების თითქმის ყველა ასპექტი. პროფ. ო. გოგიაშვილმა (დოც. ნ. ფორაქიშვილთან თანაავტორობით) ვფიქრობთ, სრულიად არგუმენტირებული და საკადრისი პასუხი გასცეს ქართველოფობიის ამ მრავალრიცხოვან ინტერნაციონალურ ერთობას, ამხილეს მათი ფუნქციონალური დანიშნულება, დამკვეთები და პოლიტიკური მიზნები. ყოველივე ზემოაღნიშნული ასახულია რამდენიმე სტატიაში და მონოგრაფიებში. География по новому (Грузинские автономии и державная политика) Сборник ст. Тбилиси. 150-192. 2004 წელს გამოიცა მნიშვნელოვანი მონოგრაფია «Безумие и безумцы» («незанимательная грузинофобия», кн. I, Тбилиси, 2004, стр. 574. აღნიშნული მონოგრაფია ერთი წლის შემდეგ ზუსტად იგივე შინაარსით და მოცულობით გამოიცა მოსკოვში გამომცემლობა «Славянский Мир»-ის მიერ. ამ მონოგრაფიის ტირაჟის ერთი ნაწილი გავრცელდა, მეორე ნაწილის ბედი კი ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოა, რომ ამ მონოგრაფიის შინაარსი არ მოეწონათ რუსეთის სახელისუფლო ინსტიტუტების წარმომადგენლებს. 2006 წელს გამოქვეყნდა დოც. ნ. ფორაქიშვილთან თანაავტორობით მეორე მონოგრაფია «Эпидемия идиотизма» (О незанимательной грузинофобии и не только о ней). Тбилиси, книжка вторая, 2006, 630 с. გასაგებია ავტორთა განზრახვა რუსული საზოგადოებრივი აზრისათვის მათივე ენაზე გაეცნოთ თანამემამულეების ცილისმწამებლური კომპანიის მასშტაბები, მათი მიმართულებები, დამკვეთები და შემსრულებლები.

ქართველოფობების მკაცრი კრიტიკისა და მხილების პარალელურად პროფ. ო. გოგიაშვილი ცდილობდა შეეხსენებინა რუსულენოვანი მკითხველისათვის,

რომ საქართველო, მისი წარსული, კულტურა, ზოგადად ქართველური ღირებულებები იყო შთაგონების წყარო ბევრი იმ დონის მოაზროვნისათვის, რომლებითაც დღესაც საფუძვლიანად ამაყობს რუსეთის საზოგადოება. ამ მიზანს ემსახურებოდა მონოგრაფია Богомоллов – 70. Монография. Тбилиси, 2003, стр. 159, რომელიც საქართველოს წიგნის პალატის მიერ აღიარებული იყო წლის საუკეთესო რუსულ გამოცემად.

პროფ. ო. გოგიაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ქართული პოლიტიკური აზრის კვლევა წარმოადგენს. ამ პრობლემებს უშუალოდ ეხება ან ეხმარება მისი ნაშრომების ძირითადი ნაწილი უკანასკნელ ოცდაათწლეულში. წერილები პერიოდულ გამოცემებში, კონფერენციების კრებულებში და მასალებში, სალექციო კურსებში და სახელმძღვანელოში, მონოგრაფიებში. უნდა ითქვას, რომ ქართულ საზოგადოებრივი აზროვნების ეს ორგანული სფერო მეცნიერულ კვლევებს მოკლებული იყო ბოლო პერიოდამდე, რადგან თუ საზოგადოებრივ ცოდნობის და ჰუმანიტარული მეცნიერებების ზოგიერთი დარგი ან მისი ზოგი ასპექტი არსებული ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ მეტ-ნაკლებად ნეიტრალური იყო და წლების განმავლობაში ქართველი მეცნიერების მიერ სერიოზული ნაშრომები იქმნებოდა, პოლიტიკურ მეცნიერებებზე ამას ვერ ვიტყვით. პოლიტიკა და მისი ამხსნელი მეცნიერებები ზოგადად მეცნიერების გარეთ იდგა და არ იყო ობიექტური კვლევის ობიექტი - თუ ამ სფეროში რაიმე იქმნებოდა, მათი იდეოლოგიური მიზანდასახულობა თავიდანვე ნათელი იყო.

პროფ. ო. გოგიაშვილის ამ ხასიათის პრობლემატიკიდან თავიდანვე გამოიკვეთა ქართული პოლიტიკური აზროვნების ორი უდიდესი წარმომადგენლის ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის პოლიტიკური ასპექტების კვლევა. ქართულ პერიოდულ გამოცემებში, სამეცნიერო კრებულებში, სახელმძღვანელოებში დაიბეჭდა მისი სტატიების ციკლი - ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა; „საერთო ნიადაგის“ თეორია - პოლიტოლოგიური ასპექტები“; ილია და აღმოსავლეთის საქმე“; ილია ჭავჭავაძე პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ; ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის

პოლიტიკური ასპექტები და სხვა. ამავე პრობლემატიკას ეხება ორი მონოგრაფია: „ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა“, (თსუ გამომცემლობა, 1998 დოც. ე. ბატიაშვილთან თანაავტორობით) და „ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიები“ (თსუ გამომცემლობა, 2002, დოც. ე. ბატიაშვილთან თანაავტორობით). აღნიშნულ მონოგრაფიებში სრულიად ახლებურად, ობიექტურად, ყოველგვარი იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონიუქტურის გარეშე გაშუქდა და გაანალიზდა ორი უდიდესი ეროვნული მოღვაწის მემკვიდრეობის მანამდე მიჩქმალული ან დამახინჯებული ასპექტები. აღნიშნული ნაშრომებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 2003 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით პროფ. ო. გოგიაშვილს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია.

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მემკვიდრეობის კვლევისა და გაანალიზების საქმეში სრულიად განსაკუთრებული, უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს დამკვიდრებული პროფ. ო. გოგიაშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიას „ილია დღეს - იდეოლოგია, პოლიტიკა“, თბილისი, 2008, 760 გვ. (ა4 ფორმატით). სრული საფუძვლით შეიძლება ითქვას, ილიას მეცნიერული კვლევის აურაცხელი ლიტერატურაში მისი მემკვიდრეობის ამ კუთხით - იდეოლოგიურ-პოლიტიკური ასპექტებით კვლევას სრულიად განსხვავებული მეთოდოლოგიით, პრობლემების მასშტაბურობით, საკაცობრიო პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევების გათვალისწინებით, ანალოგი არ აქვს. ამ ამბიციური განცხადების საბუთიანობისათვის საკმარისია ამ დიდტანიან ნაშრომში განხილული პრობლემების არასრული ჩამოთვლა: ილიას მეცნიერული და პოლიტიკური კვლევის მეთოდის სრულყოფილი ანალიზი; ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის არსებითი ნიშნები; ილიას „საერთო ნიადაგის“ ეროვნული იდეოლოგია და პოლიტიკური იდეოლოგიები, ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის სრულყოფილი ანალიზი და მათი ურთიერთშეღწევის პროგნოზირებული ტენდენციები; სოციალ-დემოკრატიის ევროპული, რეფორმისტულ-ევოლუციური ბუნება და რუსული ვარიანტის (ბოლშევიზმის) კონფრონტაციული ხასიათი; სახელმწიფოსა და ერის არსი, სახელმწიფოს მმართველობა, უნიტარიზმი და

ადგილობრივი მმართველობა, ავტონომიის ფორმები; პიროვნების როლი ისტორიაში, პოლიტიკური ლიდერები, პარტიები, ოპოზიცია, თაობათა ბრძოლა; დემოკრატია და საარჩევნო სისტემები, ადამიანის უფლებები, თავისუფლება, მოვალეობები, კერძო საკუთრება პიროვნული თავისუფლების საფუძველი; პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და ინტერესები; კანონის უზენაესობა, ადგილობრივი სპეციფიკის აუცილებელი გათვალისწინება კანონშემოქმედებაში; პოლიტიკა და მეცნიერება, მეცნიერება და სარწმუნეობა, მართლმადიდებლობა და ქართველობა, ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა; ეროვნული განათლება, მეცნიერება. კულტურა ილიას ეროვნულ იდეოლოგიაში; ისტორია და გმირი წინაპრები; ილია და რუსული პოლიტიკური აზრი; საბაზრო ეკონომიკის და სოციალური პოლიტიკის ამომწურავი კრიტიკა კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ეტაპზე.

ინგლისური ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, გლადსტონი, დიზრაელი, სოლსბერი, ჩემბერლენი; პრუსიულ-გერმანული აგრესიული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ნიშნები, ბისმარკი; საფრანგეთის პოლიტიკური პრიორიტეტები, ნაპოლეონ III. ფრანგული რესპუბლიკური პოლიტიკური მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები.

„ადმოსავლეთის საქმე“ და ილიას მიერ განჭვრეტილი საქართველოს ახალი გეოპოლიტიკური ფუნქცია; ბაქოს ნავთი და საქართველო; „დიდი ონავრები“ საერთაშორისო პოლიტიკაში, „მილიტარობა“ ევროპაში, კოლონიური პოლიტიკა, მუშათა მოძრაობა, „კულტურკამპფი“, „პროტექციონიზმი და ფრიტრედერობა“; ილია და ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობები, ევროპულ-ამერიკული პოლიტიკა აზიაში, აფრიკაში, შორეულ ადმოსავლეთში.

განხილული პრობლემები მართლაც უადრესად მრავალფეროვანია, მაგრამ არსებითი ის არის, რომ არცერთ დებულებას დღეს მნიშვნელობა და აქტუალობა არ დაუკარგავს. უნდა დავეთანხმოთ ავტორს, რომ დღევანდელი საქართველოს წინაშე არ დგას არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც არ ეფიქროს, არ ეკამათოს, არ ეოცნებოს და არ ებრძოდოს თავის დროზე ილიას. ისიც ეჭვსგარეშეა,

რომ ილიას პოლიტიკურ-იდეოლოგიური მემკვიდრეობა დღეს უფრო აქტუალური და პრაგმატულია, ვიდრე მაშინ, როცა ის იწერებოდა. ის უფრო მომავლისთვის წერდა და რასაც მისი ბრძენი გონება დასტრიალებდა, იყო „რანი ვიქნებით“. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ივანე ჯავახიშვილს, როცა ილიას „საქართველოს მომავლის გზის გამკაფავს“ უწოდებდა. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომით არის დაწერილი „ილია დღეს“, რაც მის არქიტონიკასა და სათაურშიც აისახა.

„ილია დღეს“ - ილიას ფილოსოფიური, იდეოლოგიური, პოლიტიკური მემკვიდრეობის გაანალიზებისა და განზოგადოების პირველი მასშტაბური ცდა საყოფველთაო აღიარებით, წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც არაერთი სამეცნიერო რეცენზია მეტყველებს. მაგრამ მისი გამოსვლის პერიოდში (2008 წ.) გრძელდებოდა ილიას ოცტომეულის ახალი ტომების გამოცემა, რაც დიდი საიუბილეო მზადების ერთ შემადგენელს წარმოადგენდა. იუბილე დამაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო ჩაფიქრებული მასშტაბით ვერ ჩატარდა, მაგრამ ოცტომეულის ნაწილი გამოიცა. შედეგად აღმოჩნდა, რომ მანამდე არსებულ პუბლიკაციებში ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის ნახევარს თუ იყენებდა ავტორი. ასე მაგალითად, ოცტომეულის მეექვსე ტომში, რომელიც 1863-1882 წლების, ე.ი. ოცწლიან პუბლიცისტიკას მოიცავს, ორმოცზე მეტი წერილი დაიბეჭდა პირველად, მათ შორის ჩვენთვის უაღრესად საჭირო 28 „საპოლიტიკო მიმოხილვა“. მანამდე ილიას მემკვიდრეობისათვის საბაზო პავლე ინგოროყვას ათტომეულში მხოლოდ ორი საპოლიტიკო მიმოხილვაა შესული. ანალოგიური მდგომარეობაა ოცტომეულის სხვა ტომებშიც. მაგალითად, ილიას თხზულებათა ოცტომეულის IX ტომში 118 წერილიდან 90 პირველად დაიბეჭდა.

პროფ. ო. გოგიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეუშინდა ახალ მოზღვავეებულ მასალას და უშრეტი ენერგიით შეუდგა მის დამუშავებას. ამას სამი სრული წელი მოანდომა და უაღრესად ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში 2008-2011 წლებში არაფერი გამოუქვეყნებია. აქედან მოყოლებული 2016 წლის ჩათვლით თითქმის ყოველწლიურად გამოდიოდა „ილია დღეს“ ხუთტომეულის ერთი წიგნი. შედეგად მივიღეთ თვისობრივად ახალი გამოცემა, სადაც პრობლემები

უფრო ფართოდ, მასშტაბურად, თითქმის ამომწურავად არის გაანალიზებული. მაგალითად, მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან ილიას დამოკიდებულებას „ილია დღეს“-ში 16 გვერდი (1 პარაგრაფი) აქვს დათმობილი. ხუთტომეულში კი მთელი მესამე წიგნი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მორჩეს იმაზე ლაპარაკი, რომ ილია იყო ურწმუნო ათეისტი და მატერიალისტი.

მონოგრაფიების ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება, რაც ნაშრომს თვისებრივად განასხვავებს და უაღრესად საინტერესოს ხდის ისაა, რომ ილიას ნააზრევი განხილულია იმ დიდი მოაზროვნეების ფონზე, რომელთა მხრებზეც დგას დღეს პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევები: ჯ. ლოკის, ე. ბერკის, ე. კანტის, ფ. ჰეგელის, ა. სმიტის, ჯ.ს. მილის, მ. გლადსტონის, ო. ბისმარკის, ჩ. დარვინის, ჰ. სპენსერის და სხვების, რომელთა ნაშრომებს ილია სისტემატურად იყენებდა და დიდ ავტორიტეტებად თვლიდა. პოლიტიკური მეცნიერების მიღწევების გამოყენებით ააშენა ილიამ თავისი ეროვნული იდეოლოგია, რომელიც პროფ. ო. გოგიაშვილის არგუმენტირებული მტკიცებით, ძირითადი მახასიათებლებით ლიბერალიზმის სულისკვეთებისაა, თუმცა მისი საფუძველი, საყრდენი ერის ტრადიციული ღირებულებებია. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიაც, რომლის მთავარი თეზისი ეროვნული მიზნების მისაღწევად, ყველა საზოგადოებრივი ძალების „ერთ კვალ'ში“ ჩაყენებაა, კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია.

„ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა ამისთანა გოლიათისა, - როგორც შექსპირია ან თუნდაც ჩვენი რუსთაველი“ - წერდა ილია. პროფ. ო. გოგიაშვილი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს, ეს სიტყვები თავად ილიას მიუსადაგოს, რადგან მონოგრაფიებში სრულიად დასაბუთებულია, რომ ილია იყო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, ევროპის, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების გენიალური ანალიტიკოსი და უბადლო პროგნოზისტი.

პროფ. ო. გოგიაშვილმა ილიას მრავალმხრივი მემკვიდრეობის ის მხარეები დაგვანახა, რის საშუალებასაც საკუთარი კომპეტენცია და ქვეყნის დღევანდელი საჭიროებანი კარნახობდა და რომლებიც აქამდე ცუდად, ცალმხრივად, დამახინჯებულად ან საერთოდ არ ჩანდა. ავტორის კომპეტენციას რაც შეეხება,

ნაშრომი უმაღლეს თანამედროვე მეცნიერულ სტანდარტებზეა შესრულებული და ილიას გარდა აქ მკითხველი მთელი ისტორიული ეპოქის პოლიტიკურ სულისკვეთებას გაეცნობა.

რაც შეეხება ქვეყნის დღევანდელ საჭიროებებს, „იქნება არც ერთ გენიოსს არ ჰქონდეს ამოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის“ (იაკობ გოგებაშვილი). აშკარაა და დღეს სპეციალისტთა წრეში აღიარებულია თვალსაზრისი, რომ პროფ. ო. გოგიაშვილის მონოგრაფიები, ექვსტომეული „ილია დღეს - პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები,“ განსაკუთრებული და ღირსშესანიშნავი წვლილია ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის კვლევაში ზოგადად და „ილიალოგიაში“ კონკრეტულად.

ჩვენთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ პროფ. ო. გოგიაშვილის აღნიშნული ნაშრომით დაინტერესდნენ ძველი და ახალი ემიგრაციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ჭავჭავაძეების გვარის შთამომავლები რუსეთში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ აღნიშნული პროექტები განხორციელდა (ამის წინაპირობები არსებობს) და „ილია დღეს“ ითარგმნა საზღვარგარეთულ ენებზე, მისი აზროვნების სიღრმე და სიდიადე ბევრი ქვეყნის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტისათვის გახდება ცხადი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, პროფ. ო. გოგიაშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობა და მისი მნიშვნელოვანი შედეგები, ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობა იმსახურებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას, პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალობით.

Georgia IDENTITY CARD
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ომარ
OMAR

გვარი / LAST NAME
გოგიაშვილი
GOGIASHVILI

მოძ. / CIT სქესი / SEX პირადი No / PERSONAL No
GEO მამ / M 01024016590

დაბადების თარიღი მოქმედების ვადა
DATE OF BIRTH DATE OF EXPIRY
21.10.1941 06.09.2022

გარათის No / CARD No
12IB06938

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.09.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სსს; დამამუშაოებელი: MB-IDS 01/12
სსს-ს რეგისტრაციის No 26-3184



IDGE012IB06938401024016590<<<<
4110219M2209069GEO<<<<<<<<<<<<<2
GOGIASHVILI<<OMAR<<<<<<<<<<<<<<<<